საქართველოს მშრომელებმა ღირსეულ მთელი თავანადები ძალები და დაძლიეს ჩამორჩენა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებაში, ანაზღაურეს დანაკლისი და ვადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედი. ნრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკას ზედიზედ სამჯერ — 1973, 1974 და 1975 წლებში მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაცილებით უფრო მეტს მიაღწიონ მეათე ხუთწლედში. მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ახალი ხუთწლიანი პროგრამის განხორციელებაში წარმატებათა მიღწევის უმნიშვნელოვანეს წანამძღვრად პარტიის სამართლიანად მიჩნია დიდმწარმოებლური შრომის ყველაზე ხელშეწყობი პირობების შექმნა. ეს აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამასწინანდელ შეხვედრაზე მოსკოველ ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელებთან: „სოციალური განვითარების მრავალფეროვანი ამოცანები ჩვენში სულ უფრო კომპლექსურად — თვითეული საწარმოში, თვითეული შრომითის კოლექტივში წყდება. და ეს დღევანდელი დღის ძალზე დამახასიათებელი ნიშანია ჩვენს განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში“.

ცხადია, შრომის პირობებისა და მისი ეფექტიანობის, ეკონომიური ზრდის ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტორების ურთიერთკავშირი პირდაპირი და უშუალოა. რაც უფრო სრულყოფილია საწარმოს მიკროკლიმატი, მით უფრო ნაყოფიერია შრომა, მით უფრო დიდია მისი შედეგი. სწორედ ამიტომ მოვითხოვთ, რომ რესპუბლიკის თვითეული ხელმძღვანელი, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, თვითეული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული თუ სამეურნეო ორგანიზაცია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრებისა და შუამბინის პირობების გაუმჯობესების პრობლემებს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით უნდა ეკიდებოდეს.

ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე, პარტიულ-საეურნეო აქტივის კრებებზე სწორედ ამ თვალსაზრისით გახდა მძაფრი, პრინციპული მსჯელობის ხაზინა საქმეთა ვითარება ბორის ბამბულის კომბინატში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, წულუკიძისა და თელავის აბრეშუმსახვევ-საგრეხ ფაბრიკებში, თელავის სარემონტო-მექანიკურ ქარხანასა და სხვა საწარმოებსა და მეურნეობებში. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები ბომბინატის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში, რომლებმაც ამ საწარმოებში ვერ შექმნეს ხელშეწყობი ვითარება, და განსაზღვრა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მშრომელთა ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესების ამოცანებისადმი ისეთი მიდგომა მნიშვნელოვან ნაყოფს იღებს. მაგალითისათვის შეგვიძია დავიმოწმოთ თუნდაც ოგვეი ზესტაფონის ქარხანა. ეს საწარმო იმით რიცხვს ეკუთვნის, სადაც იოლი როდია ადამიანთა მუშაობის პირობები.

დღეს უკვე ბევრი რამ გაკეთდა დახუოულ რეჟიმზე სადნობი ღუმელების გადასაყვანად. და მარტო ამან უკვე ბევრად გაუმჯობესა მეტალურგთა მდგომარეობა. გასული წლის დამლევიდან კი ქარხანაში თანდათან დგება მწყობრში გაზსაწმენდი დანადგარები. ყოველივე ამან სულ ცოტა სამნარი მოგება მოგვცა. ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მეორე, მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ქალაქის ატმოსფეროს გაუუჯეანების თავიან აცილების პრობლემის გადაჭ-

გ. კოლგინი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

□

რას, და მესამე, საწმენდი დანადგარები იქნერენ მნგანუმის უფვრილეს, ამასთან საკმაოდ მაღალხარისხოვან მტვერს, რომლის მეორეული გამოყენება ქარხნას მისცემს მეტად სოლიდურ ეკონომიურ ეფექტს.

ასეთი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგში. ისინი სულ უფრო დამახასიათებელი ხდება სოციალისტური საქართველოს ცხოვრებაში. რესპუბლიკაში ყოველწლიურად მრავალი მილიონი მანეთი ხმარდება შრომის პირობების გაუმჯობესებას და მის დაცვას, შრომელთა უზრუნველყოფას სპეცტანსაცმლითა და საწარმოო. პროცესების მავნე ზეგავლენისგან დაცვის სხვა საშუალებებით. რესპუბლიკის საწარმოები სულ უფრო მეტად აღჭურვება უახლესი მანქანებით, მექანიზმებით, ხელსაწყოებით, აპარატურით, რომლებიც განკუთვნილია მომუშავეთა უსაფრთხოების ასამაღლებლად.

ცნობილია, მაგალითად, რომ საქართველო ჩვენს ქვეყანაში ჩაის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია, ო	g ის ნრის საიდუმლოება, რომ ჩაის ფოთლის კრეფა შრომატევადია, რომ მეჩაიეები სეზონურად სიძნელეებს აწყდებიან. ახლა პლანტაციებში მუშაობენ ჩაის საკრეფი მანქანები, რომლებმაც შესამჩნევად შეამსუბუქეს ადამიანთა შრომა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ პრობლემას ბოლომდე გადაჭრილად ვერ მიეჩინეკენ. მთის ციცაბო ფერდობებზე, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია საქართველოს რელიეფისათვის, მანქანებით ჩაის ვერ მოკრეფ. მაშ სად ვეძებთო გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? იქმნება ჩაის საკრეფი ხელის აპარატები, რომლებითაც ვაიარაღებთ მეჩაიეებს.

ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებაში პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ პროფკავშირები. სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად ისინი ბევრს აკეთებენ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის: წყობენ დათვალიერებებს და კონკურსებს, ნერგავენ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, მნიშვნელოვნად გაძლიერდა უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ნორმებისა და წესების შესრულების კონტროლი.

მეცხრე ხუთწლედის წლებში რესპუბლიკის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და განახორციელეს შრომის დაცვის გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გასაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები. ბევრი ვაი-სამეურნეო ხელმძღვანელი ზოგჯერ ივიწყებს ან უბრალოდ უგულებელყოფს საკადრეერობოებს, ვასახლებელს, სამზადეებს, რადგან არსებითად არ მიიჩნია ისინი. და თუმცა ჯერ არ შეგვძლია ამის მტკიცება, თითქოს რესპუბლიკაში მოლიანად გადაჭრილი იყოს „საყოფაცხოვრებო სათავსების“ პრობლემა, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპლექსური გეგმების შესაბამისად აშენდა და რეკონსტრუირებულია ათიათასობით კვადრატული მეტრი საკადეერობო სათავსები, მოეწყო ათასობით საშხაპე და პირსაბანი.

საქართველოში არის ნათლობა საწარმო, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ისე მუშაობენ, რომ არც ერთი უბედური შემთხვევა არ ჰქონიათ. მათ შორის უნდა დავასახელოთ თბილისს № 1 ავეჯის ფაბრიკა, ქობულეთის ბამბასაწმენი ფაბრიკა, ზუგდიდისა და ხობის საკონსერვო ქარხნები. მთლიანად რესპუბლიკაში მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საწარმოო ტრავმატიზმი 31 აროცენტით შემცირდა.

მაგრამ მუშაობის კარგი პირობები მარტო უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესრულებასა და შრომის დაცვაზე როდია დამოკიდებული. ბევრს წყვეტს სამუშაო ადგილის ორგანიზაცია, მასალებისა და დეტალების დროული და რაციონალური მიწოდება, საკირო ინსტრუმენტით უზრუნველყოფა, მუშის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანის ნათელი გაგება, სამრეწველო ესთეტიკა, მშრომელთა კვებისა და დასვენების კარგი ორგანიზაცია და ბევრი, ბევრი სხვა.

რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმო, რომელთა ადმინისტრაციას, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ესმით შრომის პირობების გაუმჯობესების ამოცანის კომპლექსურად გადაწყვეტის დიდი მნიშვნელობა. ამ ამოცანებისადმი სწორი მიდგომის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არის რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი საწარმო, სადაც შეიმუშავეს კოლექტივის სოციალური განვითარების პროგრამა, რომელსაც შემდეგ მზარი დაუჭირეს და გაავრცელეს საქართველოს მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

ბევრი რამ გაკეთდა შრომის კარგი პირობების შესაქმნელად თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, რუსთავის ქიმიურ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებსა და რესპუბლიკის სხვა საწარმოებში.

როცა შრომის ჩინებული პირობების შექმნაზე ვლაპარაკობთ, ამ პრობლემას უნდა ვუდგებოდეთ არა მარტო ტექნიკური, საწარმოო, წმინდა მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საქმის ზნეობრივი, მორალური მხარე, ჩვენ ვალდებული ვართ ვიზრუნოთ იმისათვის, რომ თვითეულ მშრომელს ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი ადგილი შრომითს პროცესში, იცოდეს, რას აკეთებს და რამდენი რამ არის მისგან დამოკიდებული. იგი ყოველთვის და ყველგან უნდა ვრძნობდეს, რომ მის შრომას პატივს სცემენ და აფასებენ. ჩვენ არ ვაკნინებთ მუშაკის მატერიალური წახალისების მნიშვნელობას და ამ შემთხვევაში მხედველ ლ ო ბ ა ში გვაქვს ჯეროვანი დამოკიდებულება ადამიანისადმი, რომლის ხელით იქმნება მთელი საზოგადოებრივი დოვლათი. ასეთი დამოკიდებულება ადამიანებს მატებს ენერგიას, უნერგავს საკუთარი ძალების რწმენას, აძლიერებს მისწრაფებას შემდგომი სრულყოფისადმი. ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნა კოლექტივში წარმატების გარანტიაა.

ამის დასადასტურებლად შეიძლება დავასახელოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალითი. რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკის უდიდესი, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ჩამორჩენილი საწარმოდან წასვლა დაიწყეს კვალიფიციურმა მუშებმა. რაღაც ორ თვეში მშობლიურ კოლექტივს გამოემშვიდობა ხუთასამდე გამოცდილი მეტალურგი. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ შემდგომში მათი უმრავლესობა ქარხანას დაუბრუნდა და დღესაც წარმატებით მუშაობს. რა იყო მასობრივი დანადობის მიზეზი? პასუხი ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ერთმნიშვნელობანი იყოს. აქ თავისი როლი შეასრულეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულმა პარტიულ ხელმძღვანელობაში დაშვებულმა სერიოზულმა ხარვეზებმა და შეცდომებმა, რომლებმაც რესპუბლიკაში, კერძოდ, გამოიწვიეს მუშათა პროფესიების პრესტიჟის დაცემა. რა თქმა უნდა, იყო საკუთარი, შიდასაქარხნო მიზეზებიც — გულგრილი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ხელფასის შემცირება, ფორმალიზმი აღმზრდელობითს მუშაობაში.

როცა რესპუბლიკაში გაიშალა ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი განზე არ დარჩენილა. აქ ბოლო მოუღეს მუშა კაცის საჭიროებებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და შრომელმა ადამიანმა ცხადყო, რისი უნარიც აქვს. მოკლე ხანში ქარხანამ დაძლია დიდი ხნის ჩამორჩენა, ქვეყნის მონათესავე საწარმოთა შორის მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ამას წინათ რუსთავის მეტალურგებმა თვითონვე გამოიჩინეს ახალი პატრიოტული თაოსნობა — წამოაყენეს წინადადება, რომ კაჩაღიდეს ბრძოლა შრომითი კოლექტივის მაღალი ორგანიზებისათვის, რომ დაიწყოს მეტო�g ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, ყველგან და ყველაფერში დამყარდეს სანიმუშო წესრიგი და დისციპლინა. რუსთავის მეტალურგთა მაგალითით საბრძოლო ლაშქრობა მეათე ხუთწლედის დიდი მიღწევებისათვის დაიწყო რესპუბლიკის მთელმა მუშათა კლასმა, ყველა შრომელმა. ეს ბრძოლა მათ სამართლიანად მიიჩნიათ თავიანთი მუშური მამაცობის საქმედ, თავიანთი პრესტიჟის საქმედ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ სფეროში უკვე ყველაფერი კარგად იყოს. ჩვენ სულაც არ მიგვანია, რომ მოხდა შრომითი კოლექტივების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისაკენ სრული და მკვეთრი შემობრუნება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შემთხვევით როდი გვისახავს ამოცანას, რომ ვიბრძოლოთ ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის, შრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი უყურადღებობის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ჯერ კიდევ გვხვდება სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც ავიწყდებათ, რომ გეგმებს ასრულებენ შრომელი ადამიანები და ასრულებენ ადამიანებისათვის და უგულებელყოფენ მათს ინტერესებს, ხოლო პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაცია ყოველთვის სკადრის პასუხს როდი აძლევენ უსულგულობის ასეთ გამოვლინებას, არ იჩენენ სათანადო პრინციპულობასა და მომთხოვნელობას კოლექტივების ცხოვრების მომწიფებულ საკითხთა გადაჭრის დროს. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება, რომ მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია კადრების დინაობა, დაბალია შრომისა და საწარმოო დისციპლინა და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, დაბალია ეკონომიური ეფექტიანობა.

საქართველოს მშრომელებმა წარმატებით დაიწყეს მეათე ხუთწლედი. ახალი ხუთწლედის პირველი წლის განვლილი თვეების გეგმა შესრულდა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით მთავარი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით. დავალების გადამეტებით წარმოებულია ათეულმილიონობით მანეთის პროდუქცია. წინ არის ახალი, უფრო პასუხსაგები მიჯნები. და იმისათვის, რომ უფრო მალე მივაღწიოთ ამ მიჯნებს, უნდა შეგვქმნათ დიდმწარმოებლური და მაღალხარისხოვანი შრომის ყველა პირობა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ყოველ ლონეს იხმარს დასახული მიზნის მისაღწევად.

„ბრძოლა“, 17 ივლისი.

გ. ჰუსაკის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 16 ივლისს საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

(საკდესი).

სამხრეთის ოკეანეში — ერთად

ლენინგრადი, 16 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს საბჭოთა და ამერიკელმა პოლარულმა მკვლევარებმა ლენინგრადში ხელი მოაწერეს მემორანდუმს სამხრეთის ოკეანისა და ანტარქტიკული ზღვების ერთობლივი კვლევის შესახებ. დოკუმენტი ითვალისწინებს, კერძოდ, რომ უკვე მომავალ ანტარქტიკულ ზაფხულში მოეწყობა ორი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი ხომალდების ნაოსნობა საერთო სამეცნიერო პროგრამით. გეგმ „პროფესორ ზუბოვის“ ექსპედიცია შეისწავლის ოკეანის აკვატორიას ანტარქტიდასა და ავსტრალიას შორის. ამერიკის ხომალდი „თომას ტომპსონი“ კი — დრეიკის სრუტეს. ამასთან ორივე გემზე იქნებიან საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების ჯგუფები.

მომავალი ერთობლივი კვლევა, განაცხადა არქტიკული და ანტარქტიკული ინსტიტუტის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ფ. ტრეშნიკოვმა, თავისებური მზადება იქნება გლობალური ატმოსფერული პროცესების შესწავლის საერთაშორისო პროგრამისათვის, რომელიც 1979 წლიდან იწარმოებს მსოფლიოს ათობით ქვეყნის მეცნიერული ჯგუფების მონაწილეობით.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე საქართველოში

16-17 ივლისს საქართველოში იყო ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეროვნული რესურსებისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრი ჯ. დ. ანტონი. მოგზაურობაში მას ახლდნენ სსრ კავშირში ავსტრალიის ელჩი დ. პლიმსოლი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფ. ჰ. მაკეი, ეროვნული რესურსების მინისტრის მოადგილე ჯ. სკალი, ავსტრალიის მოსკოვის საელჩოს სავაჭრო მრჩეველი ბ. ჯ. ჰეინი.

ავსტრალიის სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ნ. ნ. სმელიანკი, ნუსტრალიაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ა. გ. ტიხონოვი, ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის საბჭოთა ნაწილის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ნ. ჩეკლინი.

ავსტრალიი ს პრემიერ-მინისტრის მოადგილე და მისი თანმხლები პირები გაეცნენ საქართველოს ცხოვრებას, იყვნენ მარნეულის რაიონში, სადაც დათვალიერეს საკონტეინერო პნევმოტრანსპორტის სამრეწველო დანადგარი „ლენინ-1“, რომელიც განკუთვნილია 2,2 კილომეტრზე — კარიერიდან რუსპუბლიკის მეღონრაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პოლიგონამდე — მილსადენით ინერტული საშენი მასალების მიწოდებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკაში ეს პირველი დანადგარი საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტთა ჯგუფმა შექმნა რუსეთის ფსერ „ტრანსპროგრესს“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებთან ერთად.

ჯ. დ. ანტონიმ დაწვრილებით გაიმიკითხა პნევმომატარე ბ ლ ი კონსტრუქცია. მას, კერძოდ, უთხრეს, რომ მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 640 ათას ტონა ფხვიერ ტვირთს უდრის. ავტოტრანსპორტით გადაზიდვას თა ნ შედარებით ტვირთის ტრანსპორტირება 5-ჯერ უფრო იაფი ჯდება.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს უთხრეს, რომ დანადგარის ლიცენზია შეისყიდა იაპონიის დიდმა ფირმამ „სუმატომომ“ და ახლა ლიცენზიის შეძენის თაობაზე წარმოებს მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სწორაგეთისა და იტალიის ბეჯრ ფირმასთან.

ჯ. დ. ანტონიმ აღნიშნა, რომ პნევმომატარებელი ბრწყინვალე საინჟინრო ჩანაფიქრს განასახიერებს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თქვა მან, მისი გამოყენება გამორიცხავს გარემოს გაჭუჭყიანებას გამონაბოლქვი გაზებით.

პნევმომატარებლ ი ს დათვალიერების დროს ავსტრალიის მთავრობის მეთაურის მოადგილესთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე, რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ს. ქობულია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული რ. ს. ელიგულაშვილი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, ეროვნული რესურსებისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით საღილი გაუმართეს. (საინფორმ).

მიფრენავს „კოსმოს-841“

1976 წლის 15 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-841“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი



საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 15 ივლისს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პირველი და ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უცვლელი პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი **ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.**

ნ. ი. მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს ქალაქ თბილისში, სამხედრო ინჟინრის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომლის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა 1914 წელს „გამოყენებითი მათემატიკის“ სპეციალობით. 1915 წელს სადიპლომო ნაშრომის წარდგენის შემდეგ ნ. ი. მუსხელიშვილი დატოვეს თეორიული მექანიკის კათედრაზე პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად.

1917 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩიეს პეტროგრადის უნივერსიტეტის მექანიკის კათედრის ასისტენტად, შემდეგ კი მასწავლებლად. 1915-1920 წლებში იგი ასწავლიდა ავრეთვე პეტროგრადის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1920 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, რათა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა განეგრძო, როგორც ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის დოცენტს. აქ იგი მათემატიკოსთა პატარა ჯგუფთან ერთად საძირკველს უყრიდა უმაღლეს მათემატიკურ განათლებას საქართველოში. 1922 წელს ნ. ი. მუსხელიშვილმა პროფესორის წოდება მიიღო და დაუცხრომლად იღვწოდა მათემატიკისა და მოძავნავე დისციპლინების სწავლების ორგანიზაციისათვის. 1926 წლიდან იგი ჯერ უნივერსიტეტის პოლიტექნიკური, შემდეგ კი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტების დეკანი იყო. 1928—1930 წლებში იგი მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორად, რომელიც 1928 წელს გაიხსნა თბილისში მისი აქტიური მონაწილეობით. ამასთან ნ. ი. მუსხელიშვილი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილ თეორიული მექანიკის კათედრას. 1933 წელს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა მათემატიკის ინსტიტუტი.

ოცდაათიანი წლების დამდეგს ნ. ი. მუსხელიშვილი დიდ ენერგიას ახმარს რესპუბლიკაში სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციას. 1933 წლიდან იგი მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამირკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებაში, რომელიც 1935 წელს გარდაიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად და აქტიურად მონაწილეობს გეოფიზიკისა და სხვა ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციაში. შემდეგ დაახლოებით 35 წლის განმავლობაში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ნ. ი. მუსხელიშვილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1935—1938 წლებში ნ. ი. მუსხელიშვილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე, 1938—1941 წლებში — მისი თავმჯდომარეა, ხოლო 1941 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მომენტიდან, იგი აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში და მის პირველ პრეზიდენტად. ამ პოსტზე იგი უცვლელად მუშაობდა 1972 წლამდე, როცა მაღლიერმა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად.

1933 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1939 წელს — ნამდვილ წევრად. ამასთან თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი იყო. მრავალი წლის მანძილზე იგი ლენინური პრემიების კომიტეტის წევრი, უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრია, 1966 წელს იგი აირჩიეს ხომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

1956 წლიდან, როცა შეიქმნა სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტი, ნ. ი. მუსხელიშვილი მისი თავმჯდომარე იყო. მისი აქტიური სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის აღიარება იყო ავრეთვე მისი არჩევა გამოყენებითი მექანიკის კონგრესების საერთაშორისო კომიტეტის წევრად 1956 წელს, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრად 1960 წელს. ნ. ი. მუსხელიშვილი იყო ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების საზღვარგარეთელი წევრი და ბევრი სხვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ნ. ი. მუსხელიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები დრეკადობის მრტყელი თეორიის, არაერთგვაროვანი ძელების გრეხვისა და ღუნვის თეორიის, სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიის, პოტენციალის თეორიისა და ანალიზური ფუნქციების სასაზღვრო ამოცანების და სხვა პრობლემებზე. ერთ-ერთმა პირველმა მან გამოიყენა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია დრეკადობის თეორიის ამოცანების ამოსახსნელად. იმ მეთოდების უნიკალობამ, რომლებიც ნ. მუსხელიშვილმა განავითარა და ახლა ფართოდ იყენებენ თანამედროვე მექანიკასა და მათემატიკაში, მის მიერ მიღებულმა სრულყოფილმა ფუნდამენტურმა შედეგებმა, მისი შრომები კლასიკური გახდეს მისსავე სიცოცხლეში. სტუდენტთა ბევრი თაობა აღიზარდა თეორიული მექანიკისა და ანალიზური გეომეტრიის სახელმძღვანელოებით, რომელთა ავტორია ნ. ი. მუსხელიშვილი. ამ სახელმძღვანელოებში, რომლებიც გამოირჩევა აზრის უაღრესად ნათელი და დასრულებული ჩამოყალიბებით, შეტანილია დრეკადობის თეორიისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიის ამოცანათა ამოხსნის ბევრი ფორმულა, რომლებიც ნ. ი. მუსხელიშვილმა შექმნა. მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ და „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები“ რამდენჯერმე გამოიცა სსრ კავშირში და საზღვარგარეთ. მონოგრაფიები შეიცავენ ავტორის მიერ ზუსტი კვლევის შედეგად მიღებულ ის ამოცანათა ეფექტიან ამოხსნას, რომლებსაც თავი ვერ გაართვა ბევრმა მათემატიკოსმა. უცხო ენებზე ნათარგმნი ეს ნაშრომები ფართოდ ცნობილია სპეციალისტებს შორის, როგორც ფასდაუდებელი დამხმარე სახელმძღვანელოები. ისინი მაგიდის წიგნებად იქცა უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებში, გაანგარიშების ბიუროებში, ყველგან, სადაც მუშაობენ გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის დარგში.

ნ. ი. მუსხელიშვილის თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევები საბჭოთა მეცნიერების ნიამაყეა. მის მეცნიერულ იდეებსა და მის მიერ შექმნილ მეცნიერულ მიმართულებებს ავითარებენ აკადემიკოსის მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მომდევრები როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

უდიდესია ნ. ი. მუსხელიშვილის დამსახურება საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა შესულის ორგანიზაციაში — მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო

მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის!

ოლიმპიადა გაიხსნა!

monréal76

მონრეალი, 17 ივლისი. (საკადესის სპეც. კორესპონდენტები ბ. ბუხოვცევი, გ. ხაჩკოვანიანი, ი. ხრომოვი).

დღეს დილით მონრეალმა რომ გაიღვიძა, უკვე მთელ მსოფლიოში იყო სახელგანთქმული. „ოლიმპიადა-76"-ის პრეს-ცენტრში ათობით ქვეყნიდან მოსული გაზეთების პირველ გვერდებზე გამეფებულია სამი სიტყვა: „მონრეალი: ოლიმპიადა იხსნება!" ამ მოვლენას მიეძღვნა ტელევიზიისა და რადიოს ყველა დილის გადაცემა. კომენტატორები ხაზს უსვამენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წერილი გაუგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, XXI ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსა და მონაწილეებს. განსაკუთრებით აღინიშნება, რომ ეს წერილი მოვიდა ქვეყნიდან, რომელსაც არაერთგზის დაუდასტურებია ოლიმპიური იდეალების, მშვიდობისა და მეგობრობის იდეების ერთგულება, იმ ქვეყნიდან, რომელიც ოთხი წლის შემდეგ უმასპინძლებს XXII ოლიმპიადის მონაწილეებს.

...ოლიმპიადა გაიხსნა 22 საათზე მოსკოვის დროით. აქ კი შუადღე იყო, საზეიმო დღის შუადღე. სწორედ ასე — ალმებით, სხვადასხვა ენებზე დაწერილი ტრანსპარანტებით, სასულე ორკესტრებით შეხვდა მონრეალი XXI ოლიმპიური თამაშების გახსნას.

დილიდანვე მთავარი ოლიმპიური სტადიონისაკენ მოდიოდა ათასობით ადამიანი — აქაურები და მთელი მსოფლიოდან ჩამოსული სტუმრები. სპეციალური ავტობუსებით სტადიონთან მივიდნენ ჩვენი ტურისტებიც. აქ ძალიან ბევრი საბჭოთა ტურისტი ჩამოვიდა. გუშინ, მაგალითად, თბილისიდან „ბიხეილ კალინინმა" ნავსადგურში მოიყვანა ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან წამოსული ახალგაზრდა ტურისტთა მორიგი რაზმი.

15 საათის მონრეალის დროით. საყვირების ხმა ტრადიციული სიგნალი იყო დელეგაციათა საზეიმო მარშის დაწყებისა, რომელსაც, როგორც ყოველთვის, წინ უძღოდნენ ოლიმპიური თამაშების საბრძოლოს საბერძნეთის წარმომადგენლები. თვითეულ დელეგაციას ტრიბუნები მქუხარე ტაშით ხვდებიან. როცა მწვანე მოდნის უდიდესი ნაწილი ოლიმპიელთა მწყობრმა რიგებმა დაფარეს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა რიგიც დადგა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი მოჰქონდა ნიკოლოზ ბალბომინს — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში.

გუშინ საბჭოთა ოლიმპიურ გუნდს ჯაცნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის წერილი.

სპორტსმენებმაც და მწვრთნელებმაც, რომლებსაც ვუსაურეთ ასპარეზობის გახსნის საზეიმო მარშის დაწყებამდე, აღნიშნეს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი ახალ ძალას მატებს საბჭოთა ათლეტებს.

...პარადი დამთავრდა. ოლიმპიელებს მიესალმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორდი კილანინი. შემდეგ მიკროფონთან მივიდა ინგლისის დედოფალი ელისაბედ მეორე, რომელიც ფორმალურად კანადის სახელმწიფოს მეთაურია, და გახსნილად გამოაცხადა

ქუხს ქვემეხების სალუტი. სტადიონის ბილიკზე გამოჩნდა მორბენალი ოლიმპიური ჩირაღდნით, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება „ბოლო" ყოფილიყო ოლიმპიურ „ცეცხლოვან ამანათრბენში", რომელიც ორი დღის წინათ დაიწყო ოტავის ფედერალური პარლამენტის შენობასთან.

კიდევ რამდენიმე წამი და ოვალურ თასში აინთო XXI ოლიმპიადის ცეცხლი. სპეციალური მოწყობილობა მას 50 მეტრ სიმაღლეზე აიტანს და იგი შუქურასავით გზას გაუნათებს სპორტსმენებს ოლიმპიადის 16-სავე დღეს. ოლიმპიადა გაიხსნა!



ამ დღეებში აფხაზეთში ყველგან აწერენ ხელს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას.

მთიან სოფლებში მინდვრებისა და ფერმების ათასობით მშრომელმა ხელი მოაწერა ამ მოწოდებას.

გულრიფშის რაიონის მთიანი სოფლის წედელდის უხუცესმა მცხოვრებმა ნესტორ ხაინდრავამ, რომელმაც სამი ომის საშინელება გადაიტანა, პირველმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას მისთვის ღირსშესანიშნავ დღეს — დაბადების 96-ე წლისთავის დღეს.

სურათზე: ნესტორ ხაინდრავა ხელს აწერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას, რომელიც მას შინ მიუტანეს სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი კომისიის წევრმა, სასოფლო საბჭოს დეპუტატმა დონარა დვალმა (მარჯვნივ).

ი. ჰუხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ორმოცდაორი წლის წინათ, 1934 წელს „ლიტერატურული გაზეთის" 18 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა მშვენიერი ლირიკული ლექსი „მამის კერასთან", რომლითაც საქართველოს ბავშვთა 1935 წლის შემოქმედებითი ოლიმპიადა გაიხსნა. მისი ავტორი იყო წალენჯიხელი მოსწავლე ვლადიმერ უბილავა. რამდენი ხანია მას შემდეგ გასულა და დღესაც საბალწლო ზარის რეკვასავით მესმის ხოლმე იმ ლექსის რამდენიმე სტრიქონი, მათ შორის: „მე სიხარული ძილშიც მამდერებს!..."

სამგრელოს მთიანეთში, ენგურის პირას მწყემსობაში წამოზიტული ბიჭი 1940 წელს უკვე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია, ხოლო 1941 წელს, დიდი სამამული ომის მრისხანე დღეებში მოხალისედ მიდის შორეულ ფრონტზე...

ზოგიერთივით ბედნიერება როდი მხვდა წილად ვლადიმერს მეც შეეხვედროდი როგორც ჯარისკაცი ჯარისკაცს, მე სულ სხვა ფრონტზე ვიბრძოდი შაშხანით ხელში...

წალენჯიხელ ჰაბუკ პოეტს თავისი თაობის მრავალ თანამეგობართან ერთად არ დასცალდა დინჯად და დაბეჯითებით გაპყოლოდა ბოლომდე ქართული პოეზიის ფართო შარაგზას. ქალაქ ვოროშილოვგრადის მახლობლად დაიფერფლა მისი ახალგაზრდული სიცოცხლე გერმანელ ფაშისტებთან გაფფრთებულ ბრძოლაში...

მცირეოდენ ლექსებთან, ბალადებთან და ფრონტულ წერილებთან ერთად ვლადიმერს დარჩა აგრეთვე მცირე მოცულობის პოემა — „ტობავარჩხილი", რომელიც მეგრულად ვერცხლის ტბას ნიშნავს და რომელშიც აღწერილია კოლექტივიზაციის პირველი დღეები.

ხალხური გადმოცემით, ტობავარჩხილი წმიდათა-წმიდა, ხელშეუხებელ ტბას წარმოადგენდა. საკმარისი იყო ვინმე გაბედულებოდა, რომ წყლის დედოფალი განრისხებულიყო და წარღვნით წაელეკა მთელი მიდამო. კულაკთა კლასის წარმომადგენელს კოჩას ღრმად სწამდა სიმართლე ამ ლეგენდისა და, როცა ტბის ნაპირას იხილა კომკავშირელი მუყეესების პირველი ყარავი, გაოცებაში მოვიდა, შურისძიების ცეცხლით აღენთო და თავისი ყოფილი მოჯამაგირე თოფით დასჭრა, მაგრამ ჯახუს ხანჯალს ვერც ის გადაურჩა.

გაქრა ტობავარჩხილის ძველი ლეგენდა და იმ ლეგენდასთან გაბოროტებულ კოჩის სახსენებელიც. ცხრათვალა მზემ ძველივ ძველებურად იწყო კაშკაში ტობავარჩხილის მოწმენდილ ცაზე, კოლექტივის ჯოგიბს შეუერთდნენ ეკრძო მესაკუთრეთა ჯოგები და ტბის ნაპირებს ციდან ჩამოსულ ღრუბლებივით მოედინენ... პოემის ეს ადგილი ვლადიმერ უბილავას ძლიერი შთაგონებით აქვს დაწერილი...

წალენჯიხელ ჰაბუკს მთელი სულითა და გულით სურდა გაბედაროყო თავისი ქვეყნის დიდი მომავალი. ნაადრევად დაღუპული პოეტის ჯერ კიდევ ბავშვობისდროინდელი ეს მძაფრი სურვილი გამოთქმულია ლექსში „გამოღვიძება":

დილაა... მზიან ქვეყნის
მსახურად
მოვდივარ, გმირებს რომ
გავუსწორდე...

მიწიერი სილამაზისადმი ღრმა სიყვარულია გამოთქმული ლექსში „გაფრენა". რა უბრალოდ, მაგრამ რა მომხიბლავად გვეჩვენება ყოველივე ის, რასაც პოეტი ამბობს:

კავკასიონზე ავვარდით უცებ
და ღრუბლებივით მაღლა
მივცურავთ,
სხედან ჩვენს ქვემოთ მთანი
მოხუცნი
და საუბრობენ დარბაისლურად.
ცის უდაბნოში ურეოლა
ამიტანს.
წინ ქაოსია შებინდებული;
ძირს ვიხედებით
თვითმფრინავიდან
და იქ ქვეყანა ძევს
დედებული...

ბრწყინვალე ლექსია „პირველი ცეცხლი უშბაზე", რომელშიც ასახულია ჩვენი ალპინისტების გმირული გამარჯვებით დამთავრებული ლაშქრობა. აქვე მინდა დავასახელო მისი პუბლიცისტური შემართების ლექსი — „ესპანეთის ,ღამე". მასში განგაშით სავსე ასეთი სტრიქონებია —

ესპანეთის ფიჭვიანი ტყეები
ბანაკებად
ქცეულან ბრძოლის.
ბანაკებად ქცეულან
ბანაკებად
ბანაკებად ქცეულან
ბანაკებად...

ეს ლექსი გამოთქმულია ესპანეთის ფაშისტური ავაზაკობის, ინტერვენციის, ინტერნაციონალისტ-ებისადმი ბრალდებულ ბოროტ ენებთან ერთად ამ ბოროტ ენ